

21/09/2026



MES 5 26 0001276295

**პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი**

ქ. თბილისი

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა Zoom-ის გამოყენებით **2026 წლის 7 სექტემბერს 12:00 საათზე**. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომაზე ჩართვას ონლაინ.

Join Zoom Meeting

<https://us02web.zoom.us/j/2234959888?omn=85015634557>

Meeting ID: 223 495 9888

Passcode: 1234

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში –საბჭო) წევრები:

ელენე კაკაბაძე – პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს თავმჯდომარე);

ნათია ბუთხუზი – სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი (საბჭოს მდივანი);

გიორგი ვეკუა – სსკ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ბიზნესისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის დირექტორი (საბჭოს წევრი);

ეკატერინე გიგაშვილი – პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს წევრი);

გოჩა გოგიტიძე – სსიპ – სასწავლოს უნივერსიტეტის – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პროფესიული მომზადების ცენტრის უფროსი (საბჭოს წევრი);

გოგიტა მშვენიერაძე – ა(ა)იპ – სამშენებლო კოლეჯ „კონტრუქტ2“-ის სასწავლო პროცესებისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი (საბჭოს წევრი)

სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში –ცენტრი) წარმომადგენლები:

ნანი დალაქიშვილი – პროფესიულ განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ქეთევან ჭუჭულაშვილი – პროფესიულ განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;

ნათია მჭედლიძე – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

ნინო ხელაძე – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

ელისო ბარბაქაძე – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

მაყვალა დარსანია – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

მარიამ ჩოხელი – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

მარიამ სულთანშიშვილი – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები:

ნინო თამაზაშვილი

დავით ხუციშვილი

ნინო გზირიშვილი

მაია მსხილაძე

თემურ სალინაძე

ვალერი ჯაჯანიძე

აკაკი გურგენიძე

ნინო რამიშვილი

შალვა ზაზაძე

გიორგი ევგენიძე

ზაალ ხელაძე

რატი სხირტლაძე

ხათუნა ურუშაძე

დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ კოლეჯ "მერმისი"

დირექტორი – ნონა ღუდუშაური

ხარისხის მართვის მენეჯერი – ნანა ნამგალაძე

შპს ინტერბიზნესის აკადემია

აკადემიის დირექტორი – ინგა მანაშერიძე

ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი – ნაზო წიბლიაშვილი

„ხელოვნური ინტელექტის დეველოპმენტის“ პროგრამის ხელმძღვანელი – ალექსანდრე კეკენაძე

პროფესიული მასწავლებელი – მარიკა ქაჯაია

საბჭოს სხდომის დაწყების დრო – 12:02 საათი.

საბჭოს თავმჯდომარე ელენე კაკაბაძე მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულების წარმომადგენლებს. მან განაცხადა, რომ სხდომის ოქმის პროექტის მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიო ჩაწერა და აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

დღის წესრიგი:

1. სსიპ კოლეჯ "მერმისისთვის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების "ხის მხატვრული დამუშავება", "თექის დამზადება", "მხატვრული ქსოვა", "მსუბუქი ავტომობილის შიგა წვის ძრავას შეკეთება", მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება", "კულინარია" და "კონდიტერია" დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
2. შპს ინტერბიზნესის აკადემიისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „საწყობის ოპერირების“, ენერგომენეჯმენტის“, „მასაჟის თერაპიის“ და „ხელოვნური ინტელექტის დეველოპმენტის“ დამატების შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით. ცენტრს ჰქონდა შუამდგომლობა.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნანი დალაქიშვილმა, საბჭოს გააცნო კოლეჯ „მერმისის“ შუამდგომლობა, რომელიც უკავშირდება კოლეჯ „მერმისის“ ავტორიზაციის თაობაზე პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის 11 აგვისტოს №971638 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანას. ნანი დალაქიშვილმა საბჭოს წევრებს დეტალურად წარუდგინა შუამდგომლობის შინაარსი და აღნიშნა, რომ დაწესებულებამ მიიღო გადაწყვეტილება მიღევად რეჟიმში არსებული სამი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის – „ხის მხატვრული დამუშავება“, „თექის დამზადება“ და „მხატვრული ქსოვა“ – გაუქმების შესახებ. აღნიშნული პროგრამები მიღევადი სახით მითითებული იყო საბჭოს 2025 წლის 11 აგვისტოს №971638 გადაწყვეტილებაში, ვინაიდან იმ ეტაპზე დაწესებულებას მათზე ავტორიზაცია არ გაუვლია ახალი სტანდარტების დამტკიცების მოლოდინის გამო. მისი განმარტებით, ამჟამად ცენტრის მიერ წარმართულია ადმინისტრაციული წარმოება რამდენიმე პროგრამის დამატებაზე, რაც დღის წესრიგის საკითხად არის წარმოდგენილი. მათ შორის, პროგრამა „ხის მხატვრული დამუშავება“ ემატება ახალი სტანდარტით, ხოლო რადგან პროგრამებზე „თექის დამზადება“ და „მხატვრული ქსოვა“ ახალი სტანდარტები არ დამტკიცებულა, დაწესებულებას სურს მათი დამატება მოქმედი სტანდარტით, რათა უზრუნველყოს სტუდენტთა მიღება საშემოდგომო მიღებიდან. აღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულებამ ითხოვა მიღევად რეჟიმში არსებული დასახელებული სამი პროგრამის გაუქმება შესაბამისი დასკვნების განხილვამდე. წარმოდგენილი ცვლილება ეხება მხოლოდ გადაწყვეტილების დანართის მიღევადი პროგრამების ნაწილს, საიდანაც ამოღებულია აღნიშნული სამი პროგრამა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „სსიპ კოლეჯის "მერმისი" ავტორიზაციის შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის 11 აგვისტოს №971638 გადაწყვეტილებაში ცვლილების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 6

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ცვლილება განხორციელდეს „სსიპ კოლეჯის "მერმისი" ავტორიზაციის შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის 11 აგვისტოს №971638 გადაწყვეტილებაში, კერძოდ: შევიდეს ცვლილება №971638 გადაწყვეტილებაში და მეორე პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით (**დანართი 1**). გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 7 სექტემბერი.

პირველი საკითხი: სსიპ კოლეჯ "მერმისისთვის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების "ხის მხატვრული დამუშავება", "თექის დამზადება", "მხატვრული ქსოვა", "მსუბუქი ავტომობილის შიგა წვის ძრავას შეკეთება", მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება", "კულინარია" და "კონდიტერია" დამატების შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ნინო თამაზაშვილი, მიესალმა დამსწრე პირებს და აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა სსიპ კოლეჯ „მერმისში“ შვიდი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების განაცხადის შეფასება. ექსპერტთა

ვიზიტი დაწესებულებაში განხორციელდა 2026 წლის 27, 28 და 29 ივლისს. შეფასების პროცესი დაეფუძნა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოდგენილი განაცხადისა და თანდართული დოკუმენტაციის დეტალურ შესწავლას, ადგილზე მოწყობილი იმიტირებული სასწავლო გარემოებების დათვალიერებას, ადმინისტრაციულ პერსონალსა და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ინტერვიუებას. გარდა ამისა, იმ პროგრამების ფარგლებში, რომლებიც ხორციელდება კოოპერაციული სწავლების ფორმით, ექსპერტები ეწვივნენ პრაქტიკის ობიექტებს და შეხვდნენ მათ წარმომადგენლებსა და პრაქტიკის ინსტრუქტორებს. აღნიშნული კომპონენტების შეჯერების საფუძველზე მომზადდა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა.

ექსპერტმა საბჭოს წარუდგინა პროგრამების ზოგადი მიმოხილვა და შეფასებები. საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კონდიტერია“ და მე-4 დონის პროგრამა „კულინარია“ შემუშავებულია ახალი პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტების საფუძველზე; ორივე პროგრამა ხორციელდება რეალურ სამუშაო გარემოში კოოპერაციული სწავლების ფორმით, მასწავლებელთა რაოდენობაა 28-28, ხოლო სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა „კონდიტერიაზე“ განსაზღვრულია 28-ით, ხოლო „კულინარიაზე“ – 120-ით. ორივე პროგრამაზე 2.2 კომპონენტი შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება მოთხოვნებს“. მე-3 დონის პროფესიული პროგრამები – „თექის დამზადება“ (32 სტუდენტი, 22 მასწავლებელი) და „მხატვრული ქსოვა“ (32 სტუდენტი) – ეფუძნება ძველ ჩარჩო დოკუმენტებს ახალი სტანდარტების არარსებობის გამო. მე-3 დონის პროგრამები „მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება“ და „მსუბუქი ავტომობილის შიგა წვის ძრავას შეკეთება“ წარმოდგენილია შესაბამისად 20 და 40 სტუდენტის ზღვრული რაოდენობით, ხოლო მე-4 დონის პროგრამა „ხის მხატვრული დამუშავება“ ეფუძნება ახალ სტანდარტს და ითვალისწინებს 20 სტუდენტს. ხუთივე აღნიშნული პროგრამა განხორციელდება იმიტირებულ სამუშაო გარემოში და ექსპერტთა მიერ შეფასებულია სრული შესაბამისობით.

ნინო თამაზაშვილმა ხაზი გაუსვა დაწესებულების მიერ აღნიშნული პროგრამების არჩევის დასაბუთებულობას. კოლეჯს 2020 წლიდან გააჩნია აღნიშნული მიმართულებებით პროგრამების განხორციელების მდიდარი გამოცდილება. პროგრამების დამატება სრულად შეესაბამება დაწესებულების ორგანიზაციულ და სტრატეგიულ მიზნებს, მის მისიას ტურიზმის, ბიზნესის ადმინისტრირების, ხელოვნების, ინჟინერიისა და წარმოების სფეროებში კვალიფიციური კადრების მომზადების შესახებ, აგრეთვე პროფესიული განათლების ეროვნულ პრიორიტეტებს.

პროგრამა „კონდიტერიის“ დეტალური განხილვისას ექსპერტმა აღნიშნა, რომ 28 განმახორციელებელი პირიდან 20 უზრუნველყოფს დარგობრივი, ხოლო 8 – ზოგად მოდულების სწავლებას. კოლეჯს გაფორმებული აქვს პარტნიორული ხელშეკრულებები სამ ორგანიზაციასთან („ჯიმთი სასტუმროები“, „ჯიმთი მთაწმინდა“ და „ჯინო პარკი“), სადაც მკაფიოდ არის განსაზღვრული სტუდენტთა ადგილების კვოტები, შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვა და ინსტრუქტორთა გამოყოფის საკითხები. ადგილზე დათვალიერდა 14 სტუდენტზე გათვლილი კონდიტერიის სასწავლო სახელოსნო და კულინარიისა და კონდიტერიის პროგრამებისთვის საზიარო მარაგების ოთახი შესაბამისი სამაცივრე ინვენტარით. 2.2 კომპონენტის მეტწილად შესაბამისობად შეფასება განაპირობა იმ გარემოებამ, რომ პროგრამის ახალ სტანდარტზე გადასვლის გამო დაწესებულებამ განაცხადის წარდგენის მომენტში ვერ მოასწრო მატერიალური რესურსების ნაწილის საბოლოო შესყიდვა. თუმცა, კოლეჯმა წარადგინა დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, ხოლო ვიზიტის პერიოდში დადასტურდა შესყიდვების ტენდერის დასრულება და ხელშეკრულებების გაფორმების ეტაპზე გადასვლა, რასაც ექსპერტთა ჯგუფიც დაეთანხმა.

დარგის ექსპერტმა მაია მსხილაძემ აღნიშნა, რომ შეფასების პროცესმა და წარმოდგენილმა დოკუმენტაციამ დაადასტურა პერსონალის მაღალი კომპეტენცია, პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების ღრმა ცოდნა. სასწავლო და პრაქტიკული სივრცეები აღჭურვილია

სათანადო ინვენტარით, სრულად არის დაცული სანიტარულ-ჰიგიენური და შრომის უსაფრთხოების სტანდარტები. პედაგოგები ფლობენ შესაბამის კვალიფიკაციასა და გამოცდილებას, ორიენტირებულნი არიან სტუდენტთა განვითარებასა და თანამედროვე პედაგოგიური მიდგომების დანერგვაზე. დარგის ექსპერტმა დადებითად შეაფასა როგორც სასწავლო გარემოს ორგანიზებულობა, ისე მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ფუნქციური გამოყენება.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ნინო თამაზაშვილმა საბჭოს გააცნო ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული განმავითარებელი რეკომენდაციები, რომლებიც საერთო იყო წარმოდგენილი პროგრამებისთვის. პირველი რეკომენდაცია ეხებოდა პროფესიული განათლების მასწავლებელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. დაწესებულების დოკუმენტაციაში დარგობრივი ან პედაგოგიური მიმართულებით 1-წლიანი სამუშაო გამოცდილება მითითებული იყო, როგორც „სასურველი“. ვინაიდან მასწავლებელთა პორტფოლიოების შემოწმებით დადასტურდა მათი შესაბამისობა, ხოლო მხოლოდ „სასურველი“ ჩანაწერი არ იძლევა საკმარის გარანტიას, ექსპერტებმა გასცეს რეკომენდაცია, რომ აღნიშნული მოთხოვნა გახდეს „სავალდებულო“. დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად უკვე წარადგინა განახლებული დოკუმენტაცია ამ რეკომენდაციის გათვალისწინებით.

მეორე განმავითარებელი რეკომენდაცია შეეხებოდა პროგრამების საპროგნოზო ბიუჯეტებს. პროგრამაზე რენტაბელობის ზღვარი გაანგარიშებული იყო 3-5 სტუდენტზე, რაც წარმოადგენდა მხოლოდ თეორიულ მინიმუმს. ვინაიდან კოლეჯის ისტორიული მონაცემებით მიღებების დროს ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობა 10-ს აღემატებოდა, ექსპერტებმა გასცეს რეკომენდაცია, რომ საპროგნოზო ბიუჯეტი და რენტაბელობის ზღვარი განისაზღვროს იმ რეალური მინიმალური რაოდენობის საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს პროგრამის ფინანსურ მდგრადობას. მესამე რეკომენდაციით, 2.4.1.1 ინდიკატორთან მიმართებით, დაწესებულებას მიეთითა სასწავლო პროცესის ორგანიზების საკითხების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებიდან სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში გადატანა.

ექსპერტმა ასევე განიხილა პროგრამა „კულინარიის“ განხორციელების პირობები. დაწესებულება გეგმავს 120 პროფესიული სტუდენტის მიღებას, რომლებიც გადანაწილდებიან 20-სტუდენტიან ჯგუფებად და სწავლებას გაივლიან ორ ცვლაში. პროგრამისათვის განსაზღვრულია 28 პროფესიული განათლების მასწავლებელი, საიდანაც 20 უზრუნველყოფს დარგობრივ, ხოლო 8 – ზოგად მოდულებს. პრაქტიკული სწავლების მიზნით, პარტნიორ ორგანიზაციებთან – „ჯიემთი სასტუმროები“, „ჯიემთი მთაწმინდა“ და „ჯინო პარკი“ – გაფორმებულია ხელშეკრულებები ჯამში 130 სტუდენტის ადგილზე, რაც სრულად აკმაყოფილებს მოთხოვნილ კვოტას. ექსპერტმა ხაზი გაუსვა აღნიშნულ პროგრამაზე აპლიკანტთა მაღალ მოთხოვნასა და დასაქმების მაღალ მაჩვენებელს (90-95%). კერძოდ, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემებით, 2025 წელს გამოცხადებულ 22 ადგილზე დარეგისტრირდა 208 აპლიკანტი. პარტნიორ ობიექტზე („ჯიემთი მთაწმინდა“) ვიზიტისას ექსპერტები შეხვდნენ კოლეჯის დასაქმებულ კურსდამთავრებულებს, რომლებმაც დადებითად შეაფასეს მიღებული განათლება. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ნაწილში პროგრამა შეფასდა „მეტწილად შესაბამისად“, ვინაიდან განაცხადის წარდგენისას რესურსების ნაწილზე მიმდინარეობდა შესყიდვის პროცედურები. ექსპერტთა ჯგუფი დაეთანხმა კოლეჯის მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმას; ვიზიტის მომენტისთვის ტენდერი უკვე დასრულებული იყო.

შემდეგ ექსპერტმა მიმოიხილა ხალხური რეწვის მიმართულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები – „თექის დამზადება“ და „მხატვრული ქსოვა“. აღინიშნა, რომ აღნიშნული პროგრამების განხორციელება მნიშვნელოვანია ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებისა და პოპულარიზაციისთვის. ორივე პროგრამაზე მოთხოვნილია 32-32 პროფესიული სტუდენტის მიღება (ორ-ორი ჯგუფი 16-16 სტუდენტით). პროგრამას „თექის დამზადება“ უძღვება 22 მასწავლებელი (5 დარგობრივი, 17 ზოგადი), ხოლო პროგრამას „მხატვრული ქსოვა“ – 20 მასწავლებელი (4 დარგობრივი, 16 ზოგადი). ორივე პროგრამა

ხორციელდება იმიტირებულ სასწავლო გარემოში, ხოლო პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული მემორანდუმები ითვალისწინებს გამოცდილების გაზიარებას, სასწავლო ექსკურსიებსა და დასაქმების ხელშეწყობას. კურსდამთავრებულთა შორის ჭარბობს თვითდასაქმების პრაქტიკა, ხოლო საერთო დასაქმების მაჩვენებელი დაახლოებით 50%-ს შეადგენს. ორივე პროგრამა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა სრული შესაბამისობით.

დარგის ექსპერტმა, ნინო გზირიშვილმა აღნიშნა, რომ კარგად იცნობს წარმოდგენილ პროგრამებსა და მათი განხორციელების სპეციფიკას. ექსპერტმა ხაზი გაუსვა დაწესებულების მრავალწლიან გამოცდილებასა და მაღალ პროფესიონალიზმს. მან აღნიშნა, რომ დედაქალაქში კოლეჯი „მერმისი“ წარმოადგენს ერთადერთ დაწესებულებას, რომელიც ხალხური რეწვის ამ მიმართულებებს ასე მაღალ დონეზე ახორციელებს. ექსპერტმა დადებითად შეაფასა პროგრამების ხელმძღვანელებისა და ადმინისტრაციის მუშაობა, სტუდენტთა ნამუშევრები და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა.

შემდეგ ნინო თამაზაშვილმა წარმოადგინა ავტო-ტრანსპორტის მიმართულების პროფესიული პროგრამები: „მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება“ (20 სტუდენტი, 13 მასწავლებელი: 8 დარგობრივი, 5 ზოგადი) და „მსუბუქი ავტომობილის შიგა წვის ძრავის შეკეთება“ (40 სტუდენტი, 14 მასწავლებელი: 9 დარგობრივი, 5 ზოგადი). ორივე პროგრამა განხორციელდება სრულად იმიტირებულ სასწავლო გარემოში (A, C და AC სივრცეებში). კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი შეადგენს დაახლოებით 70%-ს, ხოლო პედაგოგიური პერსონალი გამოირჩევა მრავალწლიანი გამოცდილებით.

დარგის ექსპერტმა ვალერი ჯაჯანიძემ აღნიშნა, რომ კოლეჯ „მერმისს“ ავტომიმართულებით სწავლების მრავალწლიანი ტრადიცია და დიდი გამოცდილება გააჩნია. დაწესებულება აღჭურვილია ყველა საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსით, მათ შორის თვლების შეყრის კორექტირების თანამედროვე აპარატურით, რაც 2019 წლიდან წარმატებით გამოიყენება. ექსპერტმა განსაკუთრებით აღნიშნა პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და პროგრამის ხელმძღვანელის მაღალი კვალიფიკაცია და კომპეტენცია. მან ხაზი გაუსვა, რომ სწავლება მიმდინარეობს რეალურ, პრაქტიკულ გარემოში და არა მხოლოდ სიმულაციურ დონეზე. გარდა ამისა, აღინიშნა კოლეჯის მიერ ავტომიმართულებით შექმნილი ციფრული სასწავლო რესურსები და სტუდენტთა აკადემიური მოსწრებისადმი დაწესებული მაღალი სტანდარტები.

ამის შემდეგ ექსპერტმა ნინო თამაზაშვილმა საუბარი განაგრძო პროგრამაზე – „ხის მხატვრული დამუშავება“. პროგრამა ეფუძნება ახალ პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტს, მისი ხანგრძლივობა შეადგენს წელიწადნახევარს და ითვალისწინებს 20 პროფესიული სტუდენტის მიღებას. პროგრამას განხორციელებს 14 პირი (8 დარგობრივი, 2 ზოგადი და 2 ქართული ენის მასწავლებელი). სწავლება წარიმართება იმიტირებულ სასწავლო გარემოში (A, B, C სივრცეები), აგრეთვე ინოვაციურ ლაბორატორიაში (FabLab), რომელიც აღჭურვილია ხის ლაზერული ჭრის დანადგარებით. ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა სტუდენტების მიერ დამზადებული ხის დამუშავების მაღალი ხარისხის ნიმუშები.

პრეზენტაციის ბოლოს ექსპერტმა აღნიშნა, რომ შემოწმდა დაწესებულების ბიბლიოთეკა, სადაც ბეჭდურ ლიტერატურასთან ერთად უზრუნველყოფილია ელექტრონული რესურსები შესაბამის ლეპტოპებში. ასევე, ხაზი გაესვა კოლეჯში უცხოური ენის სწავლებისთვის გამოყოფილი სპეციალიზებული აუდიტორიის არსებობას, სადაც მატერიალური და სასწავლო გარემო სრულად არის ორიენტირებული ინგლისური ენის მოდულის ეფექტურ განხორციელებაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით.

საბჭოს თავმჯდომარემ ელენე კაკაბაძემ ყურადღება გაამახვილა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ განმავითარებელ რეკომენდაციებზე და აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ

წარმოდგენილი დანართებიდან ირკვევა ამ რეკომენდაციების გათვალისწინება. მან ექსპერტ ნინო თამაზაშვილს სთხოვა დამატებითი განმარტება რენტაბელობის ზღვართან დაკავშირებით, კერძოდ, რამდენად ასახავდა თეორიულ მინიმუმზე (3-5 სტუდენტზე) დათვლილი ბიუჯეტი პროგრამის განხორციელების რეალურ ფინანსურ მინიმუმს.

ექსპერტმა ნინო თამაზაშვილმა განმარტა, რომ თეორიული დათვლა ემყარებოდა მოქმედი დადგენილებით განსაზღვრულ კოეფიციენტებსა და პროგრამული დაფინანსების წესს, თუმცა 3-სტუდენტიანი ზღვარი შეიცავდა რისკს: სტუდენტთა შესაძლო გადინების შემთხვევაში ჯგუფი შეიძლება გახდარიყო არარენტაბელური. ექსპერტმა აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ კოლეჯს ფაქტობრივი მიღებებისა და ბიუჯეტების მართვის გამართული პრაქტიკა ჰქონდა, საპროგნოზო ნაწილში საჭირო იყო რეალისტური მინიმუმის ასახვა. ვინაიდან კოლეჯი წარმოადგენს საბიუჯეტო ორგანიზაციას და ექვემდებარება მკაცრ ფინანსურ აუდიტს, ექსპერტმა ჯგუფმა ეს საკითხი დააკვალიფიცირა განმავითარებელ რეკომენდაციად, რაც დაწესებულებამ სწორად გაიაზრა და შესაბამისად გადაითვალა საპროგნოზო ბიუჯეტები.

საბჭოს თავმჯდომარე, ელენე კაკაბაძე ასევე დაინტერესდა შრომის უსაფრთხოების საკითხებით პროგრამებზე „მხატვრული ქსოვა“ და „თექის დამზადება“. მან კითხვით მიმართა დარგის ექსპერტ ნინო გზირიშვილს იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად არსებობს ჯანმრთელობის რისკები 401-ე აუდიტორიაში საფეიქრო მასალების ღებვისა და ორთქლზე დამუშავების პროცესში ქიმიური საღებავებისა და ორთქლის გამოყენებისას. დარგის ექსპერტმა ნინო გზირიშვილმა განმარტა, რომ სახელოსნო სრულად უზრუნველყოფილია სათანადო ვენტილაციითა და ინფრასტრუქტურით. მან დააზუსტა, რომ სასწავლო პროცესში ძირითადად გამოიყენება მცენარეული, ბუნებრივი საღებავები, რომლებიც სრულიად უსაფრთხოა ჯანმრთელობისთვის, ხოლო ქიმიური საღებავები გამოიყენება მხოლოდ პრეზენტაციული და სადემონსტრაციო მიზნით, რაც რაიმე საფრთხეს არ შეიცავს.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ კოლეჯ "მერმისისთვის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების "ხის მხატვრული დამუშავება", "თექის დამზადება", "მხატვრული ქსოვა", "მსუბუქი ავტომობილის შიგა წვის ძრავას შეკეთება", მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება", "კულინარია" და "კონდიტერია" დამატების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 6

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტმა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ კოლეჯ "მერმისს" (ს/კ: 209467646) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები "ხის მხატვრული დამუშავება", "თექის დამზადება", "მხატვრული ქსოვა", "მსუბუქი ავტომობილის შიგა წვის ძრავას შეკეთება", მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება", "კულინარია" და "კონდიტერია" (დანართი 2).

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 7 სექტემბერი.

საბჭომ მიმართა ცენტრს შუამდგომლობით, ჩაინიშნოს მონიტორინგი სსიპ კოლეჯ „მერმისში“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე „კულინარია“ და „კონდიტერია“ 2.2 კომპონენტში. მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს ადგილზე ვიზიტი. მონიტორინგის განხორციელების ვადად განისაზღვროს 2026 წლის 30 სექტემბერი.

მეორე საკითხი: შპს ინტერბიზნესის აკადემიისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „საწყობის ოპერირების“, ენერგომენეჯმენტის“, „მასაჟის თერაპიის“ და „ხელოვნური ინტელექტის დეველოპმენტის“ დამატების შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ნინო რამიშვილი, მიესალმა დამსწრე პირებს და საბჭოს წევრებს გააცნო 2026 წლის 29 და 30 ივლისს განხორციელებული ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის შედეგები, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა ავტორიზაციის დებულების მე-31 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“, „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ სტანდარტებთან და კომპონენტებთან დაწესებულების შესაბამისობის შემოწმება. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა სასწავლო და A-გარემოს სივრცეები, მატერიალურ-ინფორმაციული რესურსები, ჩატარდა ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელებთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ პერსონალთან და პარტნიორ ორგანიზაციებთან.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ვიზიტის პერიოდში გამოვლინდა გარკვეული ხარვეზები და გაიცა შესაბამისობის რეკომენდაციები. კერძოდ, ხარვეზები დაფიქსირდა „მასაჟის თერაპიის“ და „საწყობის ოპერირების“ პროგრამების 2.2 კომპონენტში, ხოლო „ენერგომენეჯმენტის“ პროგრამის ნაწილში ხარვეზები და შესაბამისობის რეკომენდაციები არ გამოვლენილა. „ხელოვნური ინტელექტის დეველოპმენტის“ პროგრამაზე გაიცა შესაბამისობის რეკომენდაციები. ინსტიტუციურ სტანდარტებთან მიმართებით, მე-5 სტანდარტში ხარვეზი

დაფიქსირდა 5.1 კომპონენტში, სადაც ასევე გაიცა შესაბამისობის რეკომენდაციები. აღინიშნა, რომ დაწესებულებას განაცხადთან ერთად წარმოდგენილი ჰქონდა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.

გამოვლენილი ხარვეზებზე საუბრისას ექსპერტმა აღნიშნა, რომ „მასაჟის თერაპიის“ პროგრამაში 2.2.1.1 ინდიკატორში არსებული მატერიალური რესურსი სრულად ვერ უზრუნველყოფდა სწავლის შედეგების მიღწევას, კერძოდ, ჩვილი ბავშვის მულაჟი არ იყო სრული რაოდენობით წარმოდგენილი, ხოლო გარემო არ იყო შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილი და მისი გამართულობა ვერ შეფასდა. „საწყობის ოპერირების“ პროგრამაში, იმავე ინდიკატორის (2.2.1.1) ფარგლებში, კომპიუტერებში არ იყო ინსტალირებული საჭირო პროგრამული უზრუნველყოფა და A-გარემოს სასწავლო სივრცე არ გახლდათ სათანადოდ აღჭურვილი. ამავე პროგრამაში 2.2.1.4 ინდიკატორში წარმოდგენილი დოკუმენტაცია ვერ ადასტურებდა პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაციის შესაბამისობას დაწესებულების მიერ დადგენილ მოთხოვნებთან. მე-5 სტანდარტში (5.1.2.2 ინდიკატორი) ხარვეზად დაფიქსირდა ის, რომ ახალ ლოკაციაზე უზრუნველყოფილი არ იყო პირველადი გადაუდებელი დახმარებისთვის საჭირო მინიმალური მატერიალური რესურსი, რის გამოც მექანიზმის სრულყოფილი განხორციელება ვერ შეფასდა.

შესაბამისობის რეკომენდაციებთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ მე-5 სტანდარტის 5.1.1.1 ინდიკატორში გაიცა რეკომენდაცია სარემონტო სამუშაოების დასრულებისა და ფართის აღჭურვის შესახებ გეგმით გათვალისწინებულ ვადაში. 5.1.2.1 ინდიკატორში მიეთითა სახელმწიფო უსაფრთხოებისა და შენობა-ნაგებობის მდგრადობის დადებითი დასკვნის მოპოვების მიმართულებით დაწყებული ღონისძიებების დასრულებაზე. პროგრამულ ნაწილში, „ხელოვნური ინტელექტის დეველოპმენტისა“ და „საწყობის ოპერირების“ პროგრამებისთვის 2.2.1.2 და 2.2.1.3 ინდიკატორებში გაიცა შესაბამისობის რეკომენდაციები დარგობრივი მოდულების განხორციელებისთვის საჭირო რაოდენობისა და კვალიფიკაციის მქონე მასწავლებლების დამატებისა და პერსონალის პირად საქმეებში კვალიფიკაციისა და გამოცდილების დადასტურების უზრუნველყოფის თაობაზე.

პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობებთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფმა იხელმძღვანელა არა მხოლოდ დაწესებულების შიდა რესურსებით, არამედ პრაქტიკის ობიექტებისა და რეალური სამუშაო გარემოს გამტარუნარიანობით. „მასაჟის თერაპიაზე“ მოთხოვნილ 40 ადგილზე ექსპერტთა ჯგუფი სრულად დაეთანხმა დაწესებულებას. „ენერგომენეჯმენტის“ პროგრამაზე მოთხოვნილი 50 ადგილიდან ექსპერტებმა მხარი დაუჭირეს 25 პროფესიულ სტუდენტს, ვინაიდან პარტნიორი ორგანიზაცია ერთ-ერთი სწავლის შედეგის მიღწევას უზრუნველყოფდა მაქსიმუმ 25 სტუდენტისთვის. „ხელოვნური ინტელექტის დეველოპმენტზე“ მოთხოვნილ 50 სტუდენტზე ექსპერტები სრულად დაეთანხმნენ მოთხოვნას. „საწყობის ოპერირების“ პროგრამაზე მოთხოვნილი 40 ადგილიდან ასევე განისაზღვრა 25 პროფესიული სტუდენტი, პრაქტიკის ობიექტების შეზღუდული ტევადობის გამო.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა დეტალურად წარმოადგინა მე-2 სტანდარტის კომპონენტების შეფასება. 2.1 კომპონენტის (პროგრამების დაგეგმვა და შემუშავება) ფარგლებში დადგინდა, რომ ოთხივე პროგრამის დამატება ეფუძნება დაწესებულების მისიას, შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და სტრატეგიულ გეგმას, რომელიც 2026 წლისთვის ითვალისწინებდა პროგრამების სპექტრის გაფართოებას. პროგრამების შემუშავება განხორციელდა დებულებათა კრებულის 36-ე მუხლის შესაბამისად, სპეციალურად შექმნილი ჯგუფების მიერ, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის ჩართულობითა და დირექტორის მიერ დამტკიცებით. დაშვების წინაპირობები და სტუდენტთა შერჩევის პროცედურები გაწერილია შიდა რეგულაციებით, სადაც უმაღლეს პროფესიულ პროგრამებზე („ხელოვნური ინტელექტის დეველოპმენტი“, „მასაჟის თერაპია“, „ენერგომენეჯმენტი“) შერჩევა ხდება შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ტესტირებით, ხოლო მე-4 დონის პროგრამაზე („საწყობის ოპერირება“) – დირექტორის აქტით დადგენილი წესით. მატერიალური და ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსები შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს, პროგრამების სახელწოდებები და სტრუქტურა სრულად

შეესაბამება კანონმდებლობას, რის გამოც 2.1 კომპონენტი ოთხივე პროგრამისთვის შეფასდა დამაკმაყოფილებლად.

2.3 კომპონენტში (პროგრამების შეფასება და განვითარება) დაწესებულებას დანერგილი აქვს PDCA (დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე) ციკლზე დაფუძნებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და შიდა მონიტორინგის ინსტრუქცია. მონიტორინგის პროცესი მოიცავს სასწავლო პროცესზე დაკვირვებას, გამოკითხვებსა და შეფასების ინსტრუმენტების ვერიფიკაციას, რაც უზრუნველყოფს გაუმჯობესების გეგმების შემუშავებას. აღნიშნული კომპონენტიც ოთხივე პროგრამისთვის მიჩნეულ იქნა დამაკმაყოფილებლად.

2.4 კომპონენტის (სასწავლო პროცესის ორგანიზება და შეფასება) განხილვისას აღინიშნა, რომ სასწავლო გეგმები დამტკიცებულია დირექტორის მიერ, კრედიტები და საათები გადანაწილებულია ლოგიკურად, ხოლო კვირეული დატვირთვა არ აღემატება კვირაში 40 საათს. დაწესებულებაში მოქმედებს სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მობილობისა და აღიარების წესები. სწავლა-სწავლების პროცესში გამოიყენება თანამედროვე, პრაქტიკაზე დაფუძნებული ინტერაქტიული მეთოდები, კომპიუტერული ლაბორატორიები და დისტანციური სწავლების Zoom პლატფორმა შესაბამისი ინსტრუქციების დაცვით. დებულებათა კრებულის 51-ე მუხლით უზრუნველყოფილია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) სტუდენტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავება. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასწავლო პროცესის ორგანიზების ნაწილიც შეფასდა დადებითად.

ექსპერტმა ასევე ყურადღება გაამახვილა შრომის უსაფრთხოებისა და პირველადი გადაუდებელი დახმარების რეგულაციებზე. აღინიშნა, რომ დაწესებულებაში შემუშავებულია შესაბამისი წესები, ტარდება ტრენინგები და ცოდნის გადამოწმება ტესტირების მეშვეობით როგორც პედაგოგებისთვის, ასევე სტუდენტებისთვის. შენობაში უსაფრთხოებას უზრუნველყოფს დაცვის სამსახური. პრაქტიკის ობიექტები იღებენ ვალდებულებას დაიცვან უსაფრთხოების ნორმები გაფორმებული ხელშეკრულებების შესაბამისად, ხოლო იმიტირებულ სამუშაო გარემოში განსახორციელებელი მოდულები არ მოითხოვს სპეციფიკური უსაფრთხოების წესების დაცვას.

შეფასების სისტემასთან დაკავშირებით აღინიშნა რომ იგი დარეგულირებულია დებულებათა კრებულის 41-ე მუხლით, მოიცავს განმეორებითი გამოცდის, აპელაციის, ვალიდაციისა და ვერიფიკაციის პროცედურებს ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვით. შეფასების მტკიცებულებები ინახება 3 წლის ვადით, ხოლო მიღებული მონაცემები გამოიყენება სტუდენტის შემდგომი განვითარებისა და სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისათვის. აღნიშნულიდან გამომდინარე, 2.4 კომპონენტი ოთხივე პროგრამისთვის შეფასდა დამაკმაყოფილებლად.

პრაქტიკის კომპონენტის განხილვისას მიეთითა, რომ „ხელოვნური ინტელექტის დეველოპმენტი“ ხორციელდება იმიტირებულ გარემოში და არ საჭიროებს პრაქტიკის ობიექტს. „მასაჟის თერაპიის“ პროგრამისთვის, მოდულის – „პირველადი გადაუდებელი დახმარება“ – განხორციელების მიზნით, 2026 წლის 7 მაისს გაფორმებულია ხელშეკრულება შპს „მედიქლაბ ჯორჯიასთან“, სადაც დეტალურად არის გაწერილი ყველა აუცილებელი პირობა და წარმოდგენილია მატერიალური რესურსების ჩამონათვალი. „ენერგომენეჯმენტის“ პროგრამის ფარგლებში გაფორმებულია ხელშეკრულებები 4 პარტნიორ ორგანიზაციასთან: შპს „ნიუ ჰაუსი“, სს „გუდვილი“, შპს „ესკო-ეს“ და სასტუმრო „ლიელი“. „საწყობის ოპერირების“ პროგრამისთვის პარტნიორებს წარმოადგენენ შპს „გორგია“ (20 სტუდენტი) და შპს „ნოვა“ (5 სტუდენტი). ადგილზე ვიზიტისა და ინფრასტრუქტურის დათვალიერების შედეგად დადასტურდა, რომ პრაქტიკის ობიექტები სრულად აღჭურვილია სწავლის შედეგების მისაღწევად.

ექსპერტმა მიმოიხილა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

„მასაჟის თერაპია“ (V დონე, 97/127 კრედიტი, მოთხოვნილი/დადასტურებული კვოტა – 40 სტუდენტი, 19 მასწავლებელი): 2.2.1.1 ინდიკატორში დაფიქსირდა ხარვეზი, ვინაიდან A-C

გარემოს ერთ-ერთ აუდიტორიაში მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები და მისი გამტარუნარიანობა ვერ შეფასდა, ხოლო მოდულისთვის „ადრეული ასაკის ბავშვთა გამაჯანსაღებელი სამკურნალო მასაჟი“ ადგილზე წარმოდგენილი იყო მხოლოდ 10 ჩვილის მულაჟი (საჭიროებდა დამატებით 10 ცალს). დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, შესყიდვის დოკუმენტები, ფოტო და ვიდეო მტკიცებულებები A-გარემოს მოწყობისა და C-გარემოში 10 მულაჟის დამატების თაობაზე, თუმცა დებულებით ვიზიტის შემდგომ დოკუმენტაციის მიღების შეზღუდვის გამო, შეფასება დარჩა უცვლელი (ხარვეზი). მასწავლებელთა და პროგრამის ხელმძღვანელის კომპეტენცია, პერსონალის დატვირთვა და ფინანსური მდგრადობა შეფასდა დადებითად.

„ენერგომენეჯმენტი“ (V დონე, 116/146 კრედიტი, 21 მასწავლებელი): დაწესებულებას გამოყოფილი აქვს შესაბამისად აღჭურვილი A2 და A-B1 გარემოები. პარტნიორ ორგანიზაციებთან მიმართებით გამოიკვეთა, რომ შპს „ესკო-ეს“-თან გაფორმებული ხელშეკრულება კონკრეტული სწავლის შედეგის მისაღწევად ითვალისწინებდა ერთდროულად მხოლოდ 25 სტუდენტის მიღებას, ხოლო დაწესებულებას მოთხოვნილი ჰქონდა 50 ადგილი. თუმცა დაწესებულებამ წარადგინა 2026 წლის 3 აგვისტოს დათარიღებული ხელშეკრულების დანართი 50 სტუდენტის მიღების თაობაზე, ვიზიტისას დაფიქსირებული გარემოებებისა და პარტნიორის წარმომადგენლის პირველადი პოზიციის გათვალისწინებით, შეფასება დარჩა უცვლელი და სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრა 25 პროფესიული სტუდენტით.

„ხელოვნური ინტელექტის დეველოპმენტი“ (V დონე, 71/101 კრედიტი, მოთხოვნილი/დადასტურებული კვოტა – 50 სტუდენტი, 16 მასწავლებელი): პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილია AB გარემო (აუდიტორია №1), აღჭურვილი 25 სამუშაო ადგილით. დაწესებულება გეგმავს სწავლებას ორ ნაკადად (დასწრებული და დისტანციური), რისთვისაც შეძენილი აქვს Zoom პლატფორმა და სპეციალური შეფასების სისტემა. პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო დოკუმენტაციაში გამოვლენილი მცირე ფორმალური ნაკლოვანების მიუხედავად (აკლდა ერთი ცნობა), ექსპერტთა ჯგუფმა კომპლექსურად იმსჯელა, გაითვალისწინა ხელმძღვანელის მაღალი დარგობრივი კომპეტენცია, მის მიერ შექმნილი სასწავლო რიდერები, ახალი სტანდარტის სპეციფიკა და მიიღო გადაწყვეტილება ინდიკატორის დაუკმაყოფილებლად არმიჩნევის შესახებ. გაიცა შესაბამისობის რეკომენდაციები პერსონალის დამატებასა და დოკუმენტაციის სრულყოფაზე.

„ხელოვნური ინტელექტის დეველოპმენტის“ პროგრამის ფარგლებში, 2.2.1.2 ინდიკატორთან მიმართებით აღინიშნა, რომ დარგობრივი მოდულების განმახორციელებელი 7 მასწავლებლიდან შესაბამისი დარგობრივი და შეფასების კომპეტენცია სრულად დაუდასტურდა მხოლოდ 1 პირს – პროგრამის ხელმძღვანელს. ექსპერტთა ჯგუფმა არ გაიზიარა დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია დამატებითი 4 მასწავლებლის კომპეტენციის დადასტურების თაობაზე, ვინაიდან წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და გასაუბრებით ვერ დადასტურდა მათი მოდულების დამოუკიდებლად და ხარისხიანად გაძღოლის შესაძლებლობა. ვინაიდან დაწესებულებას შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრული აქვს 3-თვიანი ვადა კადრების შესარჩევად (რაც მიჩნეულ იქნა რეალისტურად), გაიცა შესაბამისობის რეკომენდაცია და ინდიკატორი შეფასდა მეტწილად შესაბამისად.

2.2.1.3 ინდიკატორის (მასწავლებელთა კომპეტენცია) ფარგლებში გამოვლინდა, რომ შერჩეული პერსონალის ნაწილი ვერ აკმაყოფილებდა შინაგანაწესით დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს (ბოლო 10 წლის განმავლობაში არანაკლებ 3 წლის გამოცდილება ან შესაბამისი განათლება). ექსპერტთა ჯგუფმა განმარტა, რომ ის გარემოება, რომ პროგრამა მიეკუთვნება ICT-ის (061) ვიწრო სფეროს, ავტომატურად ვერ დაადასტურებს კონკრეტული სწავლის შედეგების მიღწევის კომპეტენციას. აღნიშნულზეც გაიცა შესაბამისობის რეკომენდაცია პირადი საქმეების მოწესრიგებისა და კადრების შერჩევის თაობაზე (გეგმით გათვალისწინებულ 3-თვიან ვადაში), ხოლო ინდიკატორი შეფასდა მეტწილად შესაბამისად.

„საწყობის ოპერირების“ პროგრამის განხილვისას აღინიშნა, რომ ადგილზე ვიზიტისას თეორიული სწავლების A-გარემო არ იყო სათანადოდ აღჭურვილი, ხოლო კომპიუტერებში არ

იყო ინსტალირებული საჭირო პროგრამული უზრუნველყოფა (FINA). თუმცა დაწესებულებამ მოგვიანებით წარადგინა ვიდეო-ფოტო მტკიცებულებები და შესყიდვის დოკუმენტები, ვიზიტის შემდგომ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიღების შეზღუდვისა და შესაბამისობის გეგმის არარსებობის გამო, 2.2.1.1 ინდიკატორის შეფასება დარჩა უცვლელი.

ადამიანური რესურსის ნაწილში, „საწყობის ოპერირების“ პროგრამაზე წარმოდგენილი იყო 20 მასწავლებელი. 2.2.1.2 ინდიკატორში მიეთითა, რომ ცალკეული მოდულების განხორციელება დამოკიდებულია მხოლოდ 1 მასწავლებელზე, რაც ქმნის სასწავლო პროცესის შეფერხების რისკს (განსაკუთრებით იმ ფონზე, როდესაც პედაგოგები დასაქმებულნი არიან სხვა დაწესებულებებშიც). დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის გათვალისწინებით, გაიცა შესაბამისობის რეკომენდაცია და ინდიკატორი შეფასდა მეტწილად შესაბამისად. 2.2.1.3 ინდიკატორშიც (მასწავლებელთა კომპეტენცია) გამოვლინდა შიდა საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან უზუსტობები, რაზეც ასევე გაიცა შესაბამისობის რეკომენდაცია.

„საწყობის ოპერირების“ პროგრამის ხელმძღვანელთან მიმართებით დაფიქსირდა ხარვეზი, ვინაიდან წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ინტერვიუს შედეგები ვერ ადასტურებდა შინაგანაწესით დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან (მე-3 მუხლის 3.14 პუნქტი) შესაბამისობას. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მართვის პროცესში ჩართულობა ვერ ჩაანაცვლებს ფორმალური მოთხოვნების დაკმაყოფილებას, ხოლო შესაბამისობის გეგმის არარსებობის გამო ინდიკატორი დარჩა ხარვეზად.

პრაქტიკის ობიექტებთან მიმართებით, შპს „გორგიასთან“ (20 სტუდენტი) და შპს „ნოვასთან“ (5 სტუდენტი) გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე, „საწყობის ოპერირების“ პროგრამაზე სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრა 25 პროფესიული სტუდენტით (მოთხოვნილი 40-ის ნაცვლად).

მე-4 სტანდარტთან (ადამიანური რესურსები) დაკავშირებით ექსპერტმა აღნიშნა, რომ ხარვეზები ან შესაბამისობის რეკომენდაციები არ დაფიქსირებულა. მართვის ორგანოები და სტრუქტურული ერთეულები (ხარისხის მართვის, ადმინისტრაციული, სასწავლო პროცესისა და უსაფრთხოების სამსახურები) ფუნქციონირებს გამართულად. ახალ მისამართზე დასაქმებულ პერსონალთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები. პერსონალის მართვის პოლიტიკა მოიცავს შეფასების, პროფესიული განვითარების, ტრენინგებისა და ახალი თანამშრომლების ადაპტაციის ეფექტურ მექანიზმებს.

მე-5 სტანდარტის (მატერიალური და საინფორმაციო რესურსი) განხილვისას მიეთითა, რომ ახალ ლოკაციაზე (ქსნის ქ. №30) დაწესებულება ფლობს 490 კვ.მ ფართობს (2 თეორიული აუდიტორია, 2 კომპიუტერული კლასი, 1 ლაბორატორია-სახელოსნო). 5.1.1.1 ინდიკატორში გაიცა შესაბამისობის რეკომენდაცია სარემონტო სამუშაოების დასრულებასა და აღჭურვაზე. 5.1.2.1 ინდიკატორში ხარვეზად დაფიქსირდა შენობა-ნაგებობის მდგრადობისა და სახანძრო უსაფრთხოების დადებითი დასკვნების არქონა, რაზეც გაიცა შესაბამისობის რეკომენდაცია დაწყებული პროცედურების დასასრულებლად. 5.1.2.2 ინდიკატორში ხარვეზად დარჩა პირველადი გადაუდებელი დახმარების სამედიცინო ყუთის ფაქტობრივი არარსებობა ვიზიტის მომენტში.

5.2 კომპონენტში (საინფორმაციო რესურსები) ყველა ინდიკატორი შეფასდა დადებითად: IT ინფრასტრუქტურა და ინტერნეტი (შპს „მაგთი“) გამართულია, IT რისკები და ვიდეომონიტორინგი გატანილია აუტსორსინგზე (შპს „მაზერი“), პერსონალურ მონაცემთა დაცვას უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვის ოფიცერი. საქმისწარმოება ხორციელდება EFLOW და პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემების მეშვეობით. ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელები უზრუნველყოფს საზოგადოების სისტემატურ და უტყუარ ინფორმირებას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით.

საბჭოს მდივანმა ნათია ბუთხუზმა ყურადღება გაამახვილა გამოვლენილ ხარვეზთა სიმრავლეზე და დაწესებულების წარმომადგენლებს ჰკითხა, თუ რა შიდა მექანიზმებითა და სამოქმედო გეგმით აპირებენ აღნიშნული ხარვეზების აღმოფხვრასა და ვადების გაკონტროლებას.

კოლეჯის ხარისხის მართვის სამსახურის უფროსმა, ნაზო წიბლიაშვილმა განმარტა, რომ განაცხადის წარდგენისთანავე განხორციელდა ყველა საჭირო შესყიდვა A-გარემოს მოწყობისთვის, მათ შორის ინვენტარის, მაგიდებისა და სკამების ნაწილში. მისი თქმით, ოთხივე A-გარემო უკვე სრულად არის მოწყობილი, ხოლო ვიზიტის პერიოდში შეფერხება გამოწვეული იყო ინვენტარის საბაჟოზე დაყოვნებითა და მიმდინარე სარემონტო სამუშაოების გამო წარმოქმნილი მტვრით, რის გამოც კომპიუტერული ტექნიკის დროულად განთავსება ვერ მოხერხდა. პირველადი დახმარების სამედიცინო ყუთთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ლოკაციაზე სამი სამედიცინო ყუთი აქვთ და ექსპერტთა მხრიდან მოთხოვნის შემთხვევაში მათ აუცილებლად წარადგენდნენ. „FINA“-ს პროგრამულ უზრუნველყოფაზე მიეთითა, რომ ლიცენზირებული პროგრამა და 20 დემო ვერსია შესყიდული იყო და კომპიუტერების აწყობისთანავე დაინსტალირდა. გარდა ამისა, დაწესებულებამ შენობის მდგრადობაზე ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროდან დადებითი დასკვნა უკვე მოიპოვა. პედაგოგთა კომპეტენციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მიუღებელია ექსპერტთა შეფასება, ვინაიდან მოწვეულ მასწავლებლებს გააჩნიათ შესაბამისი დარგობრივი და პრაქტიკული გამოცდილება (მათ შორის საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, ლოჯისტიკისა და ბუღალტერიის მიმართულებით). ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა ნინო რამიშვილმა პასუხად განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფი ვალდებულია ასახოს ვიზიტის დროს ადგილზე დაფიქსირებული ფაქტობრივი გარემოებები. პედაგოგებთან მიმართებით აღინიშნა, რომ დაწესებულებას შიდა რეგულაციაში განსაზღვრული ჰქონდა მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომელთა ამოქმედებაც კანონმდებლობით 2027 წლამდე გადავადდა, თუმცა აკადემიას აღნიშნული ცვლილება შიდა დოკუმენტაციაში ასახული არ ჰქონდა. შესაბამისად, მასწავლებელთა უმეტესობა შერჩეული იყო კოლეჯში არსებული რეგულაციის დარღვევით. გარდა ამისა, გასაუბრებებისა და პირადი საქმეების შესწავლისას (მათ შორის სამუშაო გამოცდილების ცნობების) ვერ დადასტურდა კონკრეტული სწავლის შედეგების მიღწევის კომპეტენცია. ექსპერტმა ხაზი გაუსვა, რომ მხოლოდ ზოგადი სფეროს კლასიფიკატორთან მიკუთვნებულობა ან ყოველდღიურ საქმიანობაში ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტების გამოყენება ვერ უზრუნველყოფს სასწავლო მოდულის დამოუკიდებლად გაძღოლის კომპეტენციას. მატერიალურ რესურსებთან დაკავშირებით განისაზღვრა, რომ შესყიდვის დოკუმენტების არსებობის მიუხედავად, ვიზიტისას ფაქტობრივი გარემო არ იყო მოწყობილი, ხოლო ვიზიტის შემდგომ წარმოდგენილი მტკიცებულებებისა და შესაბამისობის გეგმიდან ინდიკატორების ამოღების გამო შეფასება ვერ შეიცვლებოდა.

დისკუსიაში ჩაერთო საბჭოს წევრი ეკატერინე გიგაშვილი, რომელმაც წამოაყენა წინადადება, მსჯელობა წარმართულიყო დაწესებულების მიერ არგუმენტირებულ პოზიციაში მოყვანილი იმ ფაქტების ირგვლივ, რომლებიც ექსპერტებმა პროცედურული შეზღუდვების გამო ვერ გაითვალისწინეს. დაწესებულების წარმომადგენელმა ალექსანდრე კეკენაძემ აღნიშნა, რომ „ხელოვნური ინტელექტის დეველოპმენტის“ პროგრამის ფარგლებში Python AI მოდულის განმახორციელებელ პირს უდასტურდება Back-End Development-ის მრავალწლიანი გამოცდილება და შესაბამისი კვალიფიკაცია, რის გამოც ექსპერტთა შეფასება სადავოა.

საბჭოს წევრმა გოჩა გოგიტიძემ დასვა შეკითხვა პრაქტიკის ობიექტების გამტარუნარიანობასა და სტუდენტთა კვოტების შემცირებასთან დაკავშირებით. ნინო რამიშვილმა განმარტა, რომ „საწყობის ოპერირებასა“ და „ენერგომენეჯმენტზე“ კვოტების შემცირება გამოწვეული იყო თავდაპირველად წარმოდგენილ ხელშეკრულებებში დაფიქსირებული ციფრებით (შპს „ესკო-ესთან“ – 25 სტუდენტი, შპს „გორგიასთან“ – 20 სტუდენტი, შპს „ნოვასთან“ – 5

სტუდენტი). მიუხედავად იმისა, რომ პრაქტიკის ობიექტებს გააჩნიათ მეტი სტუდენტის მიღების რეალური ინფრასტრუქტურული შესაძლებლობა და დაწესებულებამ მოგვიანებით წარადგინა შესაბამისი დამატებითი შეთანხმებები, დებულებით დადგენილი წესის გამო, ვიზიტის შემდგომ წარმოდგენილი დოკუმენტაცია შეფასების ცვლილების საფუძველი ვერ გახდა, რის გამოც ზღვრული რაოდენობა ორივე პროგრამაზე განისაზღვრა 25 პროფესიული სტუდენტით.

დისკუსიის დასკვნით ნაწილში საბჭოს თავმჯდომარემ ელენე კაკაბაძემ ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელთან დეტალურად გაიარა ყველა ის სადავო საკითხი, სადაც გამოვლენილი იყო აცდენა ფაქტობრივ მდგომარეობასა და პროცედურულ შეფასებებს შორის.

სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობებთან მიმართებით, ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა ნინო რამიშვილმა დაადასტურა, რომ „ენერგომენეჯმენტისა“ (50 ადგილი) და „საწყობის ოპერირების“ (40 ადგილი) პროგრამებზე მოთხოვნილი კონტინგენტის მიღების შინაარსობრივი და მატერიალური რესურსი დაწესებულებას გააჩნია. კვოტების შემცირება გამოწვეული იყო მხოლოდ პროცედურული შეზღუდვით (ვიზიტის შემდგომ წარმოდგენილი დამატებითი ხელშეკრულებების ასახვის შეუძლებლობით). ექსპერტმა დაადასტურა, რომ საბჭოს მიერ თავისი დისკრეციის ფარგლებში მოთხოვნილი კვოტების დადასტურება (50 და 40 სტუდენტი) არ შეიცავს შინაარსობრივ რისკებს, ვინაიდან სწავლება განხორციელდება ნაკადებად და როტაციული პრინციპით.

მატერიალურ-ტექნიკურ აღჭურვილობასთან დაკავშირებით (2.2.1.1 ინდიკატორი), ექსპერტმა დაადასტურა, რომ „მასაჟის თერაპიისა“ და „საწყობის ოპერირების“ პროგრამების ფარგლებში ფაქტობრივი და შინაარსობრივი ხარვეზები სრულად აღმოფხვრილია – წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება A-გარემოს აღჭურვა, 10 მულაჟის დამატება და კომპიუტერებში FINA-ს პროგრამის ინსტალირება.

„საწყობის ოპერირების“ პროგრამის ხელმძღვანელთან (2.2.1.4 ინდიკატორი) მიმართებით, დარგის ექსპერტმა გიორგი ევგენიძემ განმარტა, რომ წარმოდგენილ კანდიდატს არ უდასტურებოდა დარგობრივი უმაღლესი განათლება (მაგისტრანტი), ხოლო მისი პრაქტიკული გამოცდილება ვერ ფარავდა პროგრამით გათვალისწინებულ ისეთ სპეციფიკურ მოდულებს, როგორებიცაა მალფუჭებადი, ფარმაცევტული და სახიფათო ტვირთების ოპერირება.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნანი დალაქიშვილმა განმარტა ავტორიზაციის სტანდარტში განხორციელებული ცვლილება, რომლის თანახმადაც პროგრამის ხელმძღვანელი იმავდროულად უნდა იყოს ამავე პროგრამის პროფესიული მოდულის განმახორციელებელი და გააჩნდეს დადასტურებული კომპეტენცია პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაციის მიმართულებით. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ საკმარისი არ არის მხოლოდ ერთი მოდულის გაძღოლა, არამედ აუცილებელია შესაბამისი კომპეტენციის არსებობა მისანიჭებელი კვალიფიკაციის მთლიანი მიმართულებით, რაც მოიცავს შესაბამის სამუშაო გამოცდილებასაც და არ შემოიფარგლება მხოლოდ მომიჯნავე სფეროებით.

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ დააზუსტა, მოითხოვება თუ არა პროგრამის ხელმძღვანელისგან ყველა მოდულის გაძღოლის შესაძლებლობა. აღნიშნულზე ნანი დალაქიშვილმა განმარტა, რომ სტანდარტი არ ავალდებულებს ხელმძღვანელს ყველა მოდულის გაძღოლას, თუმცა მოითხოვს კომპეტენციას მთლიანი კვალიფიკაციის ფარგლებში.

დაწესებულების წარმომადგენლებმა დააფიქსირეს პოზიცია კონკრეტულ მიმართულებებთან (მაგალითად, საწყობის ოპერირება) დაკავშირებით და აღნიშნეს, რომ აღნიშნულ სფეროებში კვალიფიკაცია ხშირად მომიჯნავე პროფესიების წარმომადგენლებს (მაგალითად, მთავარ ბუღალტრებს ან ეკონომიკური განათლების მქონე პირებს) გააჩნიათ მრავალწლიანი პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზე.

პირველადი გადაუდებელი დახმარების ყუთთან (ინდიკატორი 5.1.2.2) დაკავშირებით საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დაწესებულებას განსაზღვრული ჰყავს პასუხისმგებელი პირი,

შემუშავებული აქვს პროცედურები და წარმოდგენილი აქვს შესაბამისი მტკიცებულებები. ავტორიზაციის ექსპერტმა, ნინო რამიშვილმა დაადასტურა, რომ აღნიშნული ტექნიკური საკითხი აღმოფხვრილია და დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტაცია უზრუნველყოფს ინდიკატორის შინაარსობრივ შესაბამისობას. შენობის უსაფრთხოებასა და ექსპერტიზასთან დაკავშირებით (ინდიკატორი 5.1.2.1), საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დაწესებულებამ წარმოადგინა დაკორექტირებული შესაბამისობის გეგმა, სადაც ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მეშვეობით შენობის მდგრადობის დასკვნის მოპოვების ვადად განსაზღვრულია 2026 წლის 28 დეკემბერი. ექსპერტმა ნინო რამიშვილმა დაადასტურა, რომ მდგრადობის დასკვნის მოპოვება აღნიშნულ ვადაში რეალისტურია, ვინაიდან პროცესები დაწყებულია. რაც შეეხება სახანძრო უსაფრთხოებას, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნული ნაწილი შეფასდა ნაწილობრივ შესაბამისად, ვინაიდან სამუშაოების დასრულება დამოკიდებულია გარე კომპანიაზე და დაწესებულების მიერ აღებულია წელიწად-ნახევრიანი ვადა.

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის განმარტებებისა და წარმოდგენილი ოფიციალური დოკუმენტაციის საფუძველზე, დაწესებულების მიერ შინაარსობრივად აღმოფხვრილია მატერიალური რესურსების ნაწილში არსებული ხარვეზები, კერძოდ, პირველადი გადაუდებელი დახმარების ყუთთან დაკავშირებულ ინდიკატორ 5.1.2.2-ზე წარმოდგენილია შესაბამისი მტკიცებულებები და პროცედურები, ხოლო მულაჟები, კომპიუტერული პროგრამები და სასწავლო სივრცეები ფაქტობრივად აღჭურვილია. მან ასევე განმარტა, რომ ინდიკატორ 5.1.2.1-ის (შენობის უსაფრთხოება და ექსპერტიზა) ფარგლებში, პერსონალის დამატებასა და შენობის მდგრადობის დასკვნის მოპოვებაზე განსაზღვრული შესაბამისობის გეგმა, რომელიც 2026 წლის 10 ოქტომბრამდე პერიოდს მოიცავს, ავტორიზაციის დებულების თანახმად იძლევა ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასების შეცვლის საფუძველს.

